# მცხეთის  მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## დადგენილება №24
## 2021 წლის 8 ივლისი

ქ. მცხეთა

**მცხეთის მუნიციპალიტეტში სოფელ თელოვანის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე სასტუმრო კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ე“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის 260-ე დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი  გეგმების  შემუშავების  წესის მე-2  მუხლის პირველი პუნქტის „ ნ “ ქვეპუნქტის,  მე-3 მუხლის  მე-6 პუნქტის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

**მუხლი 1**

დამტკიცდეს  მცხეთის მუნიციპალიტეტში სოფელ თელოვანის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 72.07.08.960)  სასტუმრო  კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმა დანართის შესაბამისად.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**მცხეთის მუნიციპალიტეტის**
**საკრებულოს თავმჯდომარე** **გელა ბაქრაძე**